ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7446923

ნომერი: AR11084747

თარიღი : 31.03.2025

გაცემის თარიღი : 14.04.2025

გაცნობის თარიღი : 14.04.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფერმწერთა ქუჩა, N 111;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დარეჯან ღამბაშიძე პ/ნ 01008005156
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 86, ბინა 20

ორგანიზაცია:

- დმ სტუდია კოდი: 404862038

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7318013 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 31 მარტის №AR11084747 განცხადებით მომართა დარეჯან ღამბაშიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7318013 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7318013 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (№5 ბლოკი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 13 დეკემბრიდან 2027 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7318013 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, განმცხადებელს სურს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდეს №5 ბლოკისთვის განკუთვნილი 57 ღია ავტოსადგომის ფართობი 818.7 კვ.მ.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7318013 ბრძანებით შეთანხმებული პარკირების ნუმერაციის გეგმაზე №5 ბლოკისთვის განკუთვნილია 57 ღია ავტოსადგომი და მათი საერთო ფართობი შეადგენს 818.7 კვ.მ-ს. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი პარკირების ნუმერაციის გეგმა არ იცვლება, აღნიშნულ გეგმაზე ხდება მხოლოდ №5 ბლოკისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7318013 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7318013 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს №5 ბლოკისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომების ფართობი 818.7 კვ.მ.

2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7318013 ბრძანებით შეთანხმებული პარკირების ნუმერაციის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი პარკირების ნუმერაციის გეგმით.

3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7318013 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7318013 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.